**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**
**უმაღლესი საარჩევნო კომისიის**

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 8

**13 ივნისი 2016 წელი** **ქ. ბათუმი**

**ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის**
**დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 62-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს შემდეგი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმები თანდართული ნიმუშების მიხედვით:

ა) პარტიის/ბლოკის წარმომადგენლის მოწმობა უსკოში (ფორმა №6-07.02.02);
ბ) საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მოწმობა (ფორმა №6-07.03.02).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 9 ივნისის N5 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**კომისიის თავმჯდომარე** **არჩილ მიქელაძე**

**კომისიის მდივანი** **თამარ ხოზრევანიძე**